პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლევან ჩოხელის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოგიტა კიკნაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ლევან ჩოხელის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გოგიტა კიკნაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:490319 Y:4616015
X:490291 Y:4616003
X:490354 Y:4615981
X:490344 Y:4615976
X:490374 Y:4615915
X:490385 Y:4615920
გოგიტა კიკნაძის
სახელობის სკვერი
X:490439 Y:4615811
X:490434 Y:4615802
X:490490 Y:4615746
X:490391 Y:4615744

19/0323054 27-03

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავ-რე ქ-ნ ნინო ვარდოსანიძე

მოქ. ელენე კოკენიძე

მცხ. ვარკეთილი. ახმეტელის №20. ბ.34

ტელ. 599.93.87.74

პ/ნ 01027022657

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით, [illegible] ვარ საქ. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 3/11. [illegible] [illegible] ქალაქის კოკენიძის ქუჩა. ჩვენი სახლი [illegible] [illegible] [illegible] სკვერი. ვთხოვთ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] ქალაქის კოკენიძის სახ. სკვერი. ვთხოვთ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] I. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 17 წელი. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

ე. კოკენიძე.

22/II-2023 წ.

ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენი

00109

[illegible]
(სახელი)

[illegible]
(გვარი)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წ. „28" „ IV"
ბრძანებულებით დაჯილდოვდა
ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენით
№ 00146

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032425394**
თარიღი: **09/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ელენე კიკნაძის 2023 წლის 20 თებერვლის საქმე #19/032305427-03 დაკავშირებით, რომელიც სკვერისთვის აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის გოგიტა კიკნაძის სახელის მინიჭებას ეხება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032431145**
თარიღი: **06/11/2024**

ადრესატი: ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახური
მისამართი: გიორგი გურამიშვილის ქ. #12 ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა მოქალაქე ელენე კიკნაძის 2023 წლის 23 თებერვლის #19/032305427-03 განცხადება, რომლითაც ითხოვდა სკვერისთვის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის გოგიტა კიკნაძის სახელის მინიჭებას.

მოგმართავთ თხოვნით, გაგვაცნოთ თქვენი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით, ასევე მოგვაწოდოთ ინფორმაცია გოგიტა კიკნაძის საბრძოლო მოკვლევისა და ჯილდოების (მათი არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

ლევან აბაშიძე

ქალაქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური

LEPL
State Service of
Veterans Affairs

საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00039062

გამავალი

11/11/2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში შემოსული თქვენი 2024 წლის 6 ნოემბრის №03-032431145 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის №38548) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში არსებული ერთ-ერთი სკვერისთვის გოგიტა კიკნაძის სახელის მინიჭებას, გაცნობებთ შემდეგს:

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცული ინფორმაციის თანახმად, შს სამინისტროს აკადემიის მსმენელი, პოლიციის რიგითი გოგიტა გიორგის ძე კიკნაძე ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში და გმირულად დაიღუპა საბრძოლო მოქმედებებში, 1992 წლის 2 ოქტომბერს, მოწინააღმდეგის მხრიდან ქ. გაგრაზე მასიური შემოტევის შედეგად. სიკვდილის შემდეგ გოგიტა კიკნაძე დაჯილდოვდა სხვადასხვა ჯილდოებით, მათ შორის ,,ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით".

სამშობლოს წინაშე გოგიტა კიკნაძეს დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს თქვენს წერილში მითითებული ობიექტისთვის გოგიტა კიკნაძის სახელის მინიჭებას.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

დირექტორი
ჯენერალ-მაიორი
კობა კობალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242701483**
თარიღი: **26/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-032427068-03

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 09.09.2024 წლის #03-032425394 (09.09.2024 წ. #14-01242533950-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გოგიტა კიკნაძე

(1975-1992)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, პოლიციის ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

დაიბადა 1975 წლის 8 აპრილს თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ 1992 წელს პოლიციის უმაღლესი სკოლის პირველი კურსის კურსანტი გახდა. უშიშარი, სპეტაკი, ქვეყანაზე უანგაროდ შეყვარებული - ასეთად გაიცნეს თანაკურსელებმა 17 წლის გოგიტა.

1992 წლის 27 აგვისტოს პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები, მათ შორის პირველკურსელები, გაგრაში ჩავიდნენ. ბრძოლის წინა ხაზზე მოხვდნენ პირტიტველა ბიჭები, ბევრს იარაღი პირველად ეჭირა ხელში. ისინი თავგანწირვით, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ მშობლიურ მიწას.

1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაზე მასირებული შეტევა დაიწყო. გოგიტა სხვა თანამებრძოლებთან ერთად საბრძოლო მანქანით წინ მიიწევდა. მოწინააღმდეგის მხრიდან გამოსროლილმა ჭურვმა ქართველი ბიჭების საბრძოლო ჯავშანტექნიკა ცეცხლის ალში გაახვია. დაჭრილები, მათ შორის გოგიტაც, სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს. სასწრაფო დახმარების მანქანასაც გაუხსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგეებმა, მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია და ჩაიფერფლა, მასთან ერთად 17 წლის გოგიტა კიკნაძეც. მისი საფლავი დღემდე უცნობია.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.